ჴ:რასკევი, 25 მაისი 1907 წ. 29 წელიწადი პირველი — № 112

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

კნეინა ოლღა ქუთათელაძის ასული ხიდირბეგიშვილისა, კნეინა ანნა ჭაჭიაშვილის ასული ხიდირბეგიშვილისა და თავ. ვლადიმერ ტარიელის ძე ხიდირბეგიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ წლის წირვაზე

თავ. ნესტორ | კონსტანტინეს ძის | ხიდირბეგიშვილის

სულის მოსახსენებლად სოფ. ღვანკითში, მთავარანგელოზის ეკლესიაზედ, შაბათს, 26 მაისს, დილის 9 საათზე. (2—კვ—1)

კნეინები ოლღა და ანნა ხიდირბეგიშვილები და თავ. ვლადიმერ ტარიელის ძე ხიდირბეგიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 მაისს, დილას 9 საათზე სოფელ ღვანკითის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

თავ. ნესტორ | კონსტანტინეს ძის | ხიდირბეგიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—კვ—1.)

23 მაისს ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის

მღვდელი გიორგი ჩაგუნავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მაკრინე ეფრემის ასული შვილებითურთ.
გამოსვენება შაბათს, 26 მაისს, ქვაშვეთის ეკლესიაში. დილის 9 საათზე. დაკრძალვა ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში ამავე დღეს. (3—108—2)

კვირას, 27 ამა მაისს.
პალერმოს ბაღში (მიხეილის ქ., იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) გაიმართება

სეირნობა და ლატარია-ალეგრი

წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.
სეირნობის დროს გამართული იქნება სხვა და სხვა გასართობი ბავშვებისა და დიდებისათვის (ლოტო, დოლი, ანკესი და სხვა); დაუკრავს ორი ორკესტრი და საზანდარი, იმღერებს ქართული ხორო. გამართული იქნება აგრეთვე სტერეოსკოპი. ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია ორი სარკე თითო ას ას მან., გრამოფონი—ასი მან. და სხვა ძვირფასი ნივთი.
ბაღში შესასვლელი 30 კაპ., ბავშვებისათვის—15 კაპ. ლატარიის ბილეთის ფასი—25 კაპ. (8—7)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
განჯის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
რუდენკო—შინ. სნეულ. კვირას 3—4 ს.
იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
არმოლაევი—შინ. და ბავშ. ყოველ. 11—12 ს.
ასპიზოვი—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.
ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
გორალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
ნეუიმინი—თვალ. ორშ., ოთხ. პარ. 12—1 ს.
ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
თეთრაძე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—2 ს.
ბოგოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
მონზე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
ექიმი ქალი იოსელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
პავლოვცკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
ნევშოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
პივარსკი
ჩუდნოვსკი
} კლინიკური ანალიზი
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—94)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12-სახლი მდივნისა. (35)

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—59)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ვ. ფანცხავა
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—20)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—114)

ქ. ქუთაისში
ბავშვების ექიმი ბადრიძე
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—28)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
ვ. ხ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)



ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.
ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.
კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია" ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—20)

ქუთაისში
ექიმი მაცივუხოვი.
მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—13)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)
მასწავლებელი ქალები აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15—12)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 სსაათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—110)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი
სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად აზნაურობის საგანგებო კრებაზე, რომელიც მოხდება ამ წლის 27 მაისს, დღის 12 საათზე ქ. ტფილისში, ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, № 2.
განსახილველი საგნები:
1. ანგარიში თავად-აზნაურობის 1906 წლის ფულისა.
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლის შემოსავლის განაწილებისა.
3. საადგილ-მამულო კომისიის მოხსენება.
4. თავად-აზნაურობის სტიპენდიების მოხმარების წეს-რიგის პროექტი.
5. მოხსენება თავად-აზნაურობის თეატრის შეკეთების შესახებ. (3—ნ.—2)

31 მაისს დ. ჩოხატაურში მოხდება აქაურ თავისუფალ ეტლთა წარმოების ამხანაგობის კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი:
1. სარევიზიო კამისიის გამოკვლევით ამხანაგობას მოსვლია 1215 მ. 57 კ. ზარალი; ეს უნდა გადახდეს გამგეობას, რადგან იმის დაუდევრობით მომხდარა ზარალი.
შენიშვნა: ასეთივე აზრი გამოსთქვა სამედიატორო სასამართლომ, რომელიც არჩეული იყო ამხანაგობისა და გამგეობის შორის.
2. ამხანაგობის საზოგადო კრებამ უკანასკნელად უნდა დაადასტუროს ამხანაგობის ქონების მეეტლეებზე გადაცემა და დაადგინოს ხელ ახალი ნიხრი მიმოსვლისა. ამასთან უნდა აირჩიოს ერთი კაცი, რომელსაც უნდა დაევალოს თვალყური ადევნოს მეეტლეების მოქმედებას.
3. კრებამ უნდა გადასწყვიტოს მეეტლეებზე დარჩენილ ვალის შემოტანის ვადა. ვალი უდრის 2245 მ. 47 კ.
შენიშვნა: უკეთუ რომელიმე ამხანაგი კრებაზე დასწრებას ვერ მოახერხებს, ვსთხოვთ, რომელსამე ამხანაგთაგანს გამოუგზავნოს ანუ გადასცეს რწმუნების ბარათი და აღნიშნულ საკითხთა შესახებ თავიანთი მოსაზრებანიც გამოგზავნონ დ. ჩოხატაურში მღ. ლუკა ხუნდაძის სახელზე (2—106—1)

იშ. 4/ნ—65 1

## ტფილისი, 25 მაისი

გუშინ-წინ ჩვენ ვწერდით, რომ დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა არა აქვს საკითხს, თუ რომელი წყება ახალ კანონებისა უფრო საჩქაროა და საჭირო, რადგან კანონების ასრულება და განხორციელება ადგილობრივ გენ.-გუბერნატორების სრულს ნებასა და შეხედულებაზეა მიგდებული. იგივე უნდა ითქვას სახელ. სათათბიროს სხვა მოქმედებასა და განკარგულებაზე, რომელთაგან ზოგიერთს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის და მის დღიურ ინტერესებისათვის.

ავიღოთ, მაგალითად, დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმე. შარშანაც და წელსაც რუსეთში მრავალი ხალხი აღმოჩნდა უკიდურეს გაჭირვებაში; ზოგიერთ გუბერნიაში ბევრი იხოცება შიმშილისაგან, მრავალი სხვა და სხვა სენით არის შეპყრობილი. დამშეულთა გამოკვებისა და დახმარების საქმე, არსებულის კანონის ძალით, ადმინისტრაციის კომპეტენციას შეადგენს და ამიტომ დახმარება კი არ გამოდის, არამედ დაუსრულებელი ბოროტ-მოქმედება, შეცდომები, უაზრო და უადგილო თვითნებობა. მრავალ წლის გამოცდილებამ აშკარად დაანახვა ყველას, რომ ბიუროკრატიას არ ძალუძს უბედურებაში ჩავარდნილ ხალხისთვის წესიერად დახმარების საქმის მოწყობა. ჯერ გვიანობამდის ვერ გაიგებს ან განზრახ არ უნდა გაიგოს შიმშილობის დაწყება; მერე უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევს, რომ დამშეულ ადგილებში აგიტატორები არ შეიპარონ და ამიტომ სრულიად სპობს საზოგადოებრივ ძალთა მუშაობას, დაზარალებულთა დახმარებისაკენ მიმართულს. ხოლო თვით ხალხის გამოკვების საქმეს, უმეტეს შემთხვევაში ხელში იღებენ უნიჭო და უსინიდისო ელემენტები და იწყება ქურდობა და მრავალ გვარი სხვა ბოროტება. წინანდელ მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია გურკო-ლიდვალის სკანდალური ისტორია გავიხსენოთ, რომ ჩვენთვის ცხადი იყოს, რას ნიშნავს ბიუროკრატიული საქმიანობა დამშეულთა დახმარების საქმეში...

ასეთ პირობებსა და გარემოებებში ს. სათათბირო მაინც ვერ ეუბნება მთავრობას უარს კრედიტზე და ძალაუნებურად აძლევს ფულს დამშეულთა დახმარებისათვის. ჭეშმარიტად ტრაგიკული მდგომარეობაა! ერთის მხრით, დიდი გაჭირვება ხალხისა ნებას არ აძლევს სათათბიროს უარჰყოს მთავრობის მოთხოვნა ფულის გადადების შესახებ, მეორეს მხრით სათათბირომ იცის, რომ მთავრობისათვის კრედიტის გახსნა ამ საქმეზე თითქმის უბრალოდ ფულის გადაყრასა ნიშნავს. ამ გაჭირვებისაგან სათათბირო იმით იხსნის ხოლმე თავს, რომ ამცირებს კრედიტს, მაგრამ ეს ხომ სრულებით არ შველის საქმეს...

გუშინ დეპეშამ გვაუწყა, რომ სათათბიროს სათანადო კომისიამ საჭიროდ დაინახა, ამიერ-კავკასიაში დამშეულთათვის გადაიდოს 1.200.000 მანეთი. ეს ფულიც ადგილობრივ ადმინისტრაციის ხელში გადავა და სრულიად სამართლიანად ვეჭობთ, რომ რიგიანად და წესიერად იქმნას მოხმარებული. მართლა ის რად ღირს, რომ ადგილობრივი მმართველობა პირდაპირ უარჰყოფს გაჭირვების არსებობას, მაგალითად, სამეგრელოსა და გურიაში; ხოლო თუ ზოგან ირწმუნა შიმშილობის ჩამოვარდნა, მიზეზად „აგრარული უწესოებანი" დასახა და იქ მცხოვრებნი დახმარების ღირსად-კი აღარ მიიჩნია, არამედ დასჯისა და გაკიცხვისა...

ვიმეორებთ, რუსეთის ცხოვრების დღევანდელ პირობებში სახალხო წარმომადგენლობის კანონებსა და განკარგულებათ ძალა და მნიშვნელობა არა აქვთ, რასაც ხალხის გამოკვების საქმის ორგანიზაციაც უტყუარად მოწმობს. მაგრამ გვეტყვიან, სათათბიროს შეუძლია შესცვალოს არსებული წესები, დამშეულთა გამოკვების საქმე ჩამოართვას ადმინისტრაციას და გადასცეს ადგილობრივ თვითმმართველობასაო; სათათბირო კიდეც აპირებს ასეთის კანონ-პროექტის მიღებასაო. მაგრამ ჯერ ერთი ისიც საეჭვოა, რომ სახ. საბჭომ შეიწყნაროს ასეთი პროექტი, მეორეც და უმთავრესიც ისაა, რომ თვით დღევანდელი ადგილობრივი თვითმმართველობა გროშად არა ღირს და ადმინისტრატიულ დაწესებულებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება. მაშასადამე, სანამ გამოიცვლებოდეს კანონი ხალხის გამოკვების საქმისა, საჭიროა თვით ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ სანამ დღევანდელს „გაძლიერებულსა და სამხედრო კონსტიტუციას" ძალა ექნება, ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც უნდა იდეალური იქნას, ვერაფერს გააწყობს თვითნება სატრაპების ხელში.

ნამდვილი ჯადოსნური წრე ამას ჰქვიან და ამიტომაც ვამბობთ ყოველთვის, რომ „გორდიუსის კვანძს" მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ღონის ძიება გახსნის..

## სკოლა და აუცილებელი რეფორმა

„ღარიბ მოწაფეთა დახმარებისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება" დაარსებულ იქმნა ოცდაშვიდი წლის წინად. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება თვალსაჩინოდ შეიცვალა, „მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება" კი უცვლელად დარჩა. ამის გამო ამ „საზოგადოების" აგებულება აღარ შეეფერება არც ეხლანდელს საზოგადოებრივს მდგომარეობას და არც ეხლანდელს აზროვნებას. უკან ჩამორჩენილი საზოგადოება თავის აგებულებით დღევანდელს პირობებში ისტორიულს ანაქრონიზმს წარმოადგენს. ეს კი თვალსაჩინო კვალს აცნევს იმის მოქმედებაზე და ამ მოქმედების ნაყოფიერებაზე.

ოცდა-შვიდი წლის წინად, როცა „საზოგადოება" დაარსდა, ქართველი ხალხის ფართო წრეებისთვის სკოლა და სკოლის მოწაფე საკმაოდ უცნობი ხილი იყო. მაშინ სკოლა აინტერესებდა მხოლოდ ბრწყინვალე წოდების მეთაურებს; ვინც ამ წოდებას არ ეკუთვნოდა, ის ისე ღრმად იყო ჩაფლული ბნელეთის წყვდიადში ბატონ-ყმობის და ფეოდალიზმის ახალი ნაშთების გავლენით, რომ მას სკოლისთვის არ ეცალა. თვით თავად-აზნაურობისთვის სკოლა და განათლება უფრო ქველმოქმედების საგანი იყო, ვიდრე მომწიფებულ კულტურულ საჭიროების დამაკმაყოფილებელი იარაღი. ამ გარემოებათა მეოხებით 1881 წელს დაარსებული „მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება" აგებულ იქმნა ერთის მხრივ წოდებრივს პრინციპზე და მეორის მხრივ ქველმოქმედების გრძნობაზე. ცხოვრების ეხლანდელს პირობებში ყოველივე საზოგადოებრივი პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგა წოდებრივობასაც და განათლების დამყარებასაც ქველმოქმედებაზე. ეხლა სასკოლო განათლება მარტოოდენ თავად-აზნაურთა ბელადებს და თავად-აზნაურულ ინტელიგენციას აღარ აინტერესებს; ეხლა სკოლა ქართველი ხალხის ყველა ელემენტების გულის-ყურს იპყრობს. თუ წინად სკოლა საქველ-მოქმედო დაწესებულება იყო, ეხლა იგი აუცილებელი იარაღია ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნის შესაძენად. ხალხის და სკოლის ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალა, ხოლო „მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების" აგებულება კი უცვლელად დარჩა. ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება საჭიროდ ჰხდის შესაფერად შეიცვალოს „საზოგადოების" აგებულებაც. ამ საზოგადოების გამგე კომიტეტს წლევანდელ წლიურ კრებაზე წასადგენად დამზადებული აქვს განსაკუთრებითი მოხსენება „საზოგადოების" წესდების შეცვლის შესახებ. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით გამგე კომიტეტის განზრახვას, მაგრამ არ შეგვიძლიან ამასთანავე გულისწყრომით არ აღვნიშნოთ, რომ კომიტეტს თავისი მოხსენება ამ საგნის შესახებ დღემდე არ გამოუცხადებია და ამიტომ არც ვიცით, რა გვარი ცვლილების შეტანა მიაჩნია მას საჭიროდ „საზოგადოების" წესდებაში.

შესაცვლელი კი მართლა ბევრი რამ არის. უნდა შეიცვალოს ყოვლის უწინარეს საზოგადოების შედგენილობა. ეხლა წესდების ძალით ყველა ტფილის. გუბ. თავადი და აზნაური ამ საზოგადოების შთამომავლობითი წევრია. ასეთი წესი შეიძლება ძალიან შესაფერისი ყოფილიყო იმ საზოგადოებრივ მდგომარეობისთვის, რომელიც 1881 წელს ჰსუფევდა, მაგრამ ეხლა იგი არაფერს არ შეეფერება. ამის ნაცვლად უნდა დაწესდეს პირადი წევრობა; „საზოგადოების" წევრი მოვალე უნდა იყოს განსაზღვრული საწევრო ფული იხადოს ყოველ წელს და სამაგიეროდ მას უნდა მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასკოლო საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში. თავად-აზნაურობას, როგორც წოდებრივს კორპორაციას, ვიდრე ეს უკანასკნელი არსებობს და ვიდრე იგი ქონებრივ დახმარებას აძლევს „საზოგა-

„ლოებას", უნდა მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს „საზოგადოების" მოქმედებაში რწმუნებულთა არჩევით; რწმუნებულთა რიცხვი, ჩვენის ფიქრით არ უნდა აღემატებოდეს 25 კაცს და მათ ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ „საზოგადოებაში", როგორიც საწევრო ფულის გადამხდელ ნამდვილს წევრებს.

ვიდრე ეს ცვლილება არ იქნება შეტანილი „საზოგადოების" ორგანიზაციაში, იმის მოქმედებას არც სიმტკიცე ექნება და არც ზნეობრივი ავტორიტეტი. მხოლოდ ასეთი ცვლილების შემდეგ შეიქნება „საზოგადოების" გამგე კომიტეტი მარტო აღმასრულებელ ორგანოდ და მხოლოდ მაშინ დაჰკარგავს იგი ეხლანდელს ხასიათს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მას ეხლა ხშირად ფორმის გულისთვის შეაქვს „საზოგადოების" საერთო კრებებზე სხვა და სხვა საკითხი გადასაწყვეტად, ხოლო მოქმედებით კი ისე მოქმედობს, როგორც თითონ უჯდება ჭკუაში.

ამასთანავე ერთად არსებითად უნდა შეიცვალოს მიზანი „საზოგადოების" არსებობისა. იმისი მიზანი პრაქტიკულად დღეს თავადაზნაურთა ბავშვების აღზრდაა. განახლებულ „საზოგადოების" მიზნად აღიარებულ უნდა იქმნას საქართველოს ერის ეროვნული განათლების მოწყობა და ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქნება იგი ძვირფას ეროვნულ დაწესებულებად, უამისოდ კი დღევანდელს პირობებში იგი აუცილებლად ვიწრო წოდებრივ დაწესებულებად გადაიქცევა. ის დრო, როდესაც თავად-აზნაურობის რომელიმე წოდებრივ დაწესებულებას შეეძლო ერისა და იმავე დროს წოდებრივიც ყოფილიყო და ეროვნულიც, მოკვდა. ეხლა ეს შეუძლებელია, ან წოდებრივი კარჩაკეტილობა და ან ფართო ეროვნული მოღვაწეობა—ამ დილემას თვით ცხოვრება აყენებს ჩვენს წინაშე.

ჩვენ აღვნიშნეთ ორი ძირითადი ცვლილების აუცილებელი საჭიროება. ამათგან ერთი შეეხება „საზოგადოების" შედგენილობას, ხოლო მეორე მისი მოღვაწეობის მიზანს და სარბიელს. ორივე ცვლილებას ეროვნული და დემოკრატიული ხასიათი აქვს. ამ ძირითად ცვლილებათა მიხედვით უნდა გადაისინჯოს და შეიცვალოს წესდების სხვა მუხლებიც: უნდა გაფართოვდეს საზოგადო კრებების კომპეტენცია და შეიზღუდოს გამგე კომიტეტის უფლებები, საზოგადოებას უფლება უნდა ჰქონდეს დაარსოს თავისი განყოფილებანი საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში, უფლება უნდა ჰქონდეს შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადგილობრივ განყოფილებათათვის ინსტრუქციები, უფლება უნდა ჰქონდეს იშუამდგომლოს კავკასიის და რუსეთის ცენტრალურ დაწესებულებებში ქონებრივი წყაროების გაჩენად და გაძლიერებლად და მრავალი სხვა.

სკოლას ერის კულტურულს ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თავად-აზნაურულმა საზოგადოებამ თავის სკოლას რომ „ქართული გიმნაზია" უწოდა—ეს არც კმარა და არც სინამდვილეს შეეფერება. თუ „საზოგადოების" აგებულებაში ღრმა დემოკრატიზაცია არ იქმნა გატარებული—უამისოდ იგი ვერც დიდს ხანს იხეირებს და ვერც რაიმე სამსახურს გაუწევს ქართველს ერს.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი**. სინიდისის თავისუფლების სათათბიროს კომისიის უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ადმინისტრაციას უფლება მიეცეს სისხლის სამართლით საჩივარი აღძრას სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მოქმედების წინააღმდეგ. სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს ამ საქმეების შესახებ საბოლოო განაჩენი დასდოს.

23 მაისს სინოდმა განიხილა სათათბიროს წევრების მღვდლების გმინევიჩის, ბრილიანტოვის, არხიპოვის, კოლოკოლნიკოვის და ტიხვინსკის საქმე და დაადგინა, მიეწეროს ენისეის, ორენბურგის, პერმის და ვიატკის ეპისკოპოსებს ზემოხსენებულ მღვდლების მღვდლის ხარისხთან და ერთგულ ქვეშევრდომობასთან შეუფერებელ საქციელის შესახებ და მისცენ მღვდლები პასუხის გებაში თანახმად საღმრთო წერილის და საეკლესიო კანონებისა. ხოლო ოთხს მათგანს ახლავე აეკრძალოს მღვდელ-მოქმედება. მღ. გრინევიჩის შესახებ, რომელმაც მიტროპოლიტ ანტონის შეატყობინა, შრომის ჯგუფიდან გამოვედიო და 7 მაისსაც სათათბიროს სხდომას დაესწრო, სინოდმა დაადგინა—იგი პასუხის-გებისაგან განთავისუფლებულ იქმნას.

26 მაისს სათათბიროში გაათავებენ აგრარულ საკითხის შესახებ კამათს და გაარჩევენ კანონ-პროექტებს სიკვდილით დასჯის მოსპობის და ამნისტიის შესახებ.

სათათბიროს ნაკაზის შემმუშავებელმა კომისიამ საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელთა თანადასწრებით ცალკე კომისია აირჩია მაკლაკოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წესები იმისა, თუ სათათბირომ როგორ უნდა განიხილოს ბიუჯეტი საზოგადო კრებაზე.

სათათბიროს პიროვნების ხელ-შეუხებლობის კომისიამ მიიღო მთავრობის კანონ პროექტის მუხლები, რომელიც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის მიწერ-მოწერას. აგრეთვე მიიღო ის მუხლები, რომელიც ეხება საჩივარს მთავრობის მოხელეთა მიერ ხელ-შეუხებლობის კანონის დარღვევის შესახებ. მოხელეებს პასუხის გებაში მისცემენ პირდაპირ უფროსობის დაუკითხავად.

ნაკაზის შემმუშავებელმა კომისიამ დაადგინა, განმარტოს სათათბიროს უფლება პასუხის გებაში მიცემულ დეპუტატების დათხოვნის შესახებ.

## ურცხვი თვითმპყრობელობა.

თვითმპყრობელობის ნამდვილი თვისება და სახასიათო ზნე იმაში მდგომარეობს, რომ, ბატონობით გაქედნილი, იგი ქვეყნის, ხალხის უფლებას არაფრად აგდებს—ხალხი თავის საკუთ ფარად მიაჩნია. აბა ეცადეთ და პასუხი მოსთხოვეთ დღევანდელ ჩვენ თვითმპყრობელთ, ჩვენ სასიქადულო მთავრობას, რა უყო იმან ხალხის ზურგზე აშენებული გადასახადების ესა თუ ის ნაწილი, რას მოახმარა ხალხის „კირნახული", მწარე ოფლით შეგროვილი გროშები. თუ ამას კერძო კაცი გაჰბედავს, პირდაპირ შეკითხვით მიმართავს მთავრობას, მაშინათვე თავს ციხეში უკრავენ, რასაკვირველია, როგორც მუხანათ ქვეშევრდომს, რომელმაც ჯეროვანი დუმილი დაარღვია და ჩუმი მორჩილების მაგიერ ხმა-მაღლა შეკითხვა გაჰბედა.

ვისაც სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა წაუკითხავს, ეცოდინება რასაკვირველია, რომ იქ შემდეგი პუნქტია, ხოლო დიდი მნიშვნელობით აღსავსე ცნობები მოიძებნება: ამდენი და ამდენი ფული დაიხარჯა ამა-და-ამ სამინისტროსთვის ცნობილ საჭიროებისთვისო. რას მოანდომა ეს ფული ამა თუ იმ სამინისტრომ, რა საჭიროებას მოახმარა იგი,—ამის შესახებ სრულებით სდუმს სახელმწიფოს გამგეების ანგარიში, რადგან მთავრობამ კარგად იცის, რომ ამის შესახებ შეკითხვას ვერ გაჰბედავს ვერც ერთი ნამდვილი ქვეშევრდომი; იცის, რომ უსიტყვო თევზივით იმასაც პირი დიდი ხნიდან ჩაწერგილ ლიჩრობის წყლითა აქვს სავსე. ნამდვილი თვითმპყრობელობა ამ მხრივ ყოველთვის უდიდესი ურცხვობით არის ხოლმე გაქედნილი და ამ ურცხვი თვითმპყრობელობის სასიქადულო ბარტყი დღეს ჩვენში ეგრედ-წოდებული სოციალ-დემოკრატიული „მთავრობა" გახლავთ.

როგორ თუ გაჰბედეთ ამა თუ იმ ჩვენთვის გადმოცემულ თანხის შესახებ კრიტიკის დაძვრა, გვემუქრებიან ისინი: თქვენ ამით მთავრობის სასარგებლო „პროვოკატორობას" ეწევითო. არ იცით, რომ ჩვენ ეს ფული მხოლოდ ჩვენი სამინისტროსათვის ცნობილ საჭიროებას მოვახმარეთო.

ვინ მძანდებით თქვენ, მეთაურნო სოციალ-დემოკრატებო, ჩვენი დროის ამღვრეულ წყალში თავისუფლად მოფარფატენო, რომ ხალხში მოკრებილ ფულს მხოლოდ თქვენთვის ცნობილ საჭიროებას ახმარებთ? ნუ თუ ხალხი ისეთ უსიტყვო ბრბოდ მიგაჩნიათ, რომელმაც წინ და წინ მოგანიჭათ თქვენ უსაზღვრო უფლება იმისი ნაოფლარი ფული მხოლოდ თქვენთვის ცნობილ საჭიროების მიხედვით ჰხარჯოთ. ნუ თუ ხალხს მხოლოდ იმისთვის ჰპირდებით იმის ზურგზე ხალვათად მოკალათებულ მთავრობის განდევნას, რომ ზედ თითონ თქვენ ურცხვად მოკალათება გწადიათ.

დღეს თქვენ ხალხის ნაოფლარსა და დამწვარ-დაღატაკებულთა ძმური დახმარებისათვის შეგროვილ ფულს თქვენთვის ცნობილ საჭიროებისათვის ხმარობთ და ამგვარად გაღვიძებული თქვენი მადა ხალხმა დროზე თუ არა აღაგმა, ვინ იცის ხვალ რას ჩაიდენთ.

კმარა, ბატონებო! დროა აღაგმოთ თქვენი თავ-აშვებული სილაღე. იმ ადამიანებმა კი არ ჩააგდებინეს ციხეში გუბერნატორს თქვენი ამხანაგები, რომელთაც მუშა ხალხში შეგროვილ ფულის შესახებ შეეკითხნენ არამედ თვითონ თქვენ იმსხვერპლეთ თქვენი ამხანაგები, რადგან წინდაწინვე უნდა გცოდნოდათ, რომ შემომწირველი თქვენ საბოლოოდ პასუხს მოგთხოვდა, თუ რა უყავით იმისგან შეტანილი და წინდაწინ გარკვეულ მიზნისათვის დანიშნული ფული. თქვენ ეს კარგად უნდა გცოდნოდათ, ბატონებო, და მცირედაც შეგნებული რომ გქონდეთ, თუ რა არის ზნეობრივი პასუხის გება, ენას ჩაიკმენდდით თქვენთვის ციხეში დატანჯულ „ამხანაგების" წინაშე.

მაგრამ განა იცით თქვენ სიტყვა „ამხანაგის" მნიშვნელობა, რომელიც სულ-მუდამ ენაზე გაკერიათ. განა ჩემს თვალით არ ვნახე, მე თვითონ არ ვიყავი მოწამე გურიაში მთავრობის მიერ სასტიკი შურის ძიების, წვა-განადგურებისა და ჩხრეკა-დატუსაღების დროს რა სამსახურს უწევდით თქვენ ციხეში ჩაგდებულსა და დატანჯულ თქვენ „ამხანაგებს"? თქვენ აქეთ-იქით გაიფანტენით „ვითარცა ქურციკნი ველისანი" და დატუსაღებულთათვის ზრუნავდა ღარიბი და სუსტი, წვრილ-ბავშვებიანი ქვრივი ქალი. განა მე თვითონ არ ვცნობდი ერთს შედარებით უფრო პატიოსან თქვენ მეთაურს, რომლისთანებიც თითებზე ჩამოსათვლელნი არიან თქვენ შორის, რომელმაც, როცა ციხეში ვნახე, დასნეულებულ-დატუსაღებულმა მწარედ შემომჩივლა, სანამ გარედ ხარ „ამხანაგები" ცოტა რამედ გაგდებენ, ციხეში რომ ჩაგაგდებენ, მაშინ სრულებით დავიწყებული ხარ იმათგანაო.

ეს გახლავთ თქვენი ამხანაგების ფასი თქვენ თვალში. თქვენ რომ მართლა ხალხი „ამხანაგად" მიგაჩნდეთ, განა არ გადასცემდით დამწვარ-დაზარალებულ და მშიერ-მწყურვალე ამხანაგებს პირდაპირ მათთვის დანიშნულ ფულს. არა, თქვენ ეს ფული მხოლოდ თქვენთვის ცნობილ საჭიროებას მიახმარეთ, როგორც დღეს ამ ფულის გულისთვის ციხეში დატანჯული თქვენი „ამხანაგები" მხოლოდ თქვენთვის ცნობილ საჭიროების ზვარაკად შესწირეთ, თქვენ კი ხალვათად ბრძანდებით, თავისუფალ ჰაერს სუნთქავთ და ხალხში მოპოვებულ თვითმპყრობელობას ურცხვად განაგრძობთ.

ერთმა თქვენმა ლაჩრული ფსევდონიმის ტომარაში თავ ჩარგულმა და ამიტომ ჩემთვის უჩინარმა ამხანაგმა საქვეყნო სამასხროდ გამოაცხადა, თითქო ჩემი მრწამსი იყოს ბოროტების ატანა, მასთან ბრძოლის უარყოფა. არა, ბატონებო, ბუნების სახუმარო ირონის წყალობით თქვენ მხრებზე უკუღმა დასობილ თავში ყოველი ჭეშმარიტებაც თავქვე დამხობილია რასაკვირველია, და ამიტომ აშკარად გიცხადებთ, რომ მე ყოველნაირ ბოროტებას ვებრძვი და ამიტომაც თქვენც უნდა გებრძოლოთ სამარის კარამდის, რათა თქვენ სახეზე აღბეჭდილი „ურცხვი თვითმპყრობელობა" სულ უფრო და უფრო გამოირკვეს ხალხის თვალში და ხალხმა ბოლოს თქვენ, პაწია კაცუნებო, ისევ ძველ პაწია კალაპოტში ჩაგაყენოს.

**ილია ნაკაშიძე.**

## ახალი ამბავი

**სემინარიის ინსპექტორის მოკვლა.** გუშინ, 24 მაისს, ვერაზედ, საუფლისწულო სარდაფის მახლობლად, მოჰკლეს ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მიხეილ დობრონრავოვი, რომელიც რექტორის წასვლის შემდეგ დროებით იმის თანამდებობას ასრულებდა. დილის $11^1/_2$ საათზედ გ. დობრონრავოვი სემინარიის ეკონომის მღ. ჯაოშვილთან ერთად ეტლში წასულა სემინარიის ახალ შენობის დასათვალიერებლად. როდესაც გასცილებიან წყნეთის ქუჩას, საუფლისწულო სარდაფს მახლობლად, მხითარიანცის სახლის პირდაპირ ეტლს უკანიდან მიჰპარვია ვიღაც კაცი და სამჯერ თუ ოთხჯერ უსროლია რევოლვერი. ეტლი შეუჩერებიათ. მღ. ჯაოშვილს მაშინ შეუნიშნავს, რომ დობრონრავოვი დაჭრილი იყო. ჯაოშვილი გადმომხტარა ეტლიდან, დაუძახნია პოლიციელისთვის, მაგრამ იქ არავინ აღმოჩენილა. იქვე გარდაცვლილა. მოსულან პოლიციელები და გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. მკვლელი მიმალულა. პოლიციელები და პატრულები შეუდგნენ ახლო-მახლო მცხოვრებთა და გამვლელთა ჩხრეკას.

**ვატმანის მოკვლა.** გუშინ დილით სადგურის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა მოჰკლა ტრამვაის ვაგონის დამტარებელი ლიტვინენკო. მკვლელი მიიმალა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ლიტვინენკოსთვის წინადაც უსროლიათ და მსუბუქად დაუჭრიათ.

**გაჩხრეკა და დაპატიმრება.** 23 მაისს ავჭალის ტრამვაის პარკში პოლიციელებმა გაჩხრიკეს მოსამსახურენი. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

**არჩევნები ბანკში.** გუშინ, 24 მაისს, დასრულდა კრება ტფ. სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულებისა. ამ დღეს მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარის არჩევანმა კამათი გამოიწვია. ზოგი წევრის აზრით მეოთხე დირექტორის თანამდებობა უნდა გაუქმდეს და სამის დირექტორიდან ერთმა აასრულოს თავმჯდომარის თანამდებობა. ბოლოს კრებამ დასტოვა არსებული შტატი და შეუდგა კანდიდატების დასახელებას. ყუთი დაიდგა ან. ნ. ფურცელაძემ, რომელიც ამორჩეულ იქმნა 79 ხმით 51 ხმის წინააღმდეგ. არჩევას ტაშის ცემით მიეგება კრება. ბანკის დირექტორად ამორჩეულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტის წევრი თავ. დიმიტრი ფავლენიშვილი (100 თეთრი და 33 შავი); დირექტორის კანდიდატად—თ. ვეზირიშვილი. დამფასებელ კომისიის წევრობაზე კანდიდატებად დაასახელეს თ. გ. მ. რატიშვილი, ს. ბ. ყაზახიშვილი, თავ. ვაჩნაძე და თარხანიშვილი. არჩეულ იქმნა თავ. რატიშვილი (114 თეთრი და 19 შავი) და ს. ბ. ყაზახიშვილი (88 თეთრი და 45 შავი).

**დახმარება წერა-კითხვის საზოგადოებას.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქიათურის შავიქვის მრეწველთა წლევანდელს კრების წინაშე. გამგეობა სთხოვს, დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას, ან ერთ-დროულად ფულის გადადებით ან ყოველ წლიურად სუბსიდიის დანიშვნით.

**რუსულ-ქართულ-სვანური ლექსიკონი.** ქუთაისის კერძო გიმნაზიის მასწავლებელს ნიჟარაძეს შეუდგენია რუსულ-ქართულ-სვანური ლექსიკონი. ლექსიკონის გამოცემას შეუდგა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება".

**შუამდგომლობა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.** 23 მაისს კავკასიის საუნივერსიტეტო კომიტეტმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობის წინაშე, დააარსდეს ტფილისში უნივერსიტეტი.

**გამომძიებლის მოკვლა.** 23 მაისს, საღამოს 9 საათზე, სიღნაღიდან ერთი ვერსის მანძილზე ვიღაცეებს რევოლვერით მოუკლავთ ადგილობრივი გამომძიებელი ისააკ ასილოვი.

**ბაქოს ქალაქის თავი.** ამ ცოტა ხანში უნდა მოხდეს ბაქოს ქალაქის თავის არჩევნები. ხმოსნები, გაზეთების სიტყვით, უკვე შესდგომიან კანდიდატის ძებნას. უმრავლესობას გადაუწყვეტია მიიწვიონ ფოთის ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე. წერილი უკვე გაუგზავნიათ.

**ოპერაცია ვალ. გუნიას.** როგორც ვწერდით, ავადმყოფი არტისტი ვალ. გუნია სამკურნალოში დაწვა (სობოლევსკის სამკურნალო). გუშინ, 22 მაისს, ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

**გაგზავნილის დაბრუნება.** ტფილისის გუბერნიიდან ადმინისტრატიულ წესით გაგზავნილ გაზ. „წინ"-ის რედაქტორს პლატონ ხუციშვილს ნება დაერთო, დაბრუნდეს ტფილისში.

ამას წინად ჩვენ გაზეთში იყო ნათქვამი, რომ სემინარიის მესამე კლასის მოსწავლემ შალვა გოგებაშვილმა ეგზამენები დაიჭირა, თუმცა იმისმა ამხანაგებმა ამაზე უარი სთქვესო. ეს ცნობა გოგებაშვილის შესახებ სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. თუმცა იგი იმ აზრისა ყოფილა, რომ, რადგან მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის სემინარიელები [illegible] ეგზამენებს იჭერენ, ამის გამო პირველის, მეორის და მესამე კლასის მოსწავლეებმაც უნდა დაიჭირონ, მაგრამ რადგანაც გოგებაშვილის ამხანაგებს უარი უთქვამთ გამოცდაზე, ისიც აღარ მისულა სემინარიაში გამოსაცდელად და მოქცეულა იმავე ტაფაში, რომელშიაც იხრაკებიან მისი ამხანაგები.

როგორც შევიტყვეთ შეიხ-ულ ისლამს შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ ვერის საქალაქო სკოლის გამგის თანამდებობაზე, განსვენებულ ა. ჩახბასის მოადგილედ ისეთი პირი იყოს დანიშნული, რომელსაც თათრული ენა ეცოდინება, შეიხ ულ-ისლამს თავის შუამდგომლობის საბუთად ის სამართლიანი მოსაზრებით მოჰყავს, რომ ვერაზე ბევრი თათარი სცხოვრობს. ურიგო არ იქნება შეიხ-ულ ისლამის შუამდგომლობა შეიწყნარა და ამასთანავე ვერის სკოლაში თათრებისთვის ცალკე განყოფილება დაარსონ.

ავლაბრის ამომრჩევლებმა, 16 კაცმა გუშინ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. თხოულობენ ხმოსნების არჩევნები 27 მაისს დაინიშნოს „ტფ. სობრანიის" საზაფხულო სადგომში კი არა, [illegible] თეატრში. განცხადებაში სწერენ, რომ ავლაბარი და ნავთლუღი ქალაქის მეოთხედ ნაწილს შეადგენს და ისე დაშორებულია საარჩევნო სადგომს, რომ იქიდან სიარული ძნელიაო.

24 მაისს ავჭალის ქუჩაზე ვაგონი წამოეწია ვიღაც უცნობ ყმაწვილს და შუაზე გადასჭრა. მოკლულ ყმაწვილის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

22 მაისს დასრულდა გამოცდა ავლაბრის ქალაქის მესამე სკოლის ქართულ განყოფილებაში. სწავლა დაასრულა 22 ბავშმა, ამათგან 12 ქალია.

გუშინ, 24 მაისს, ვორონცოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ვაჭარმა გაჯი მამადი ნაგიევმა რევოლვერით თავი მოიკლა.

23 მაისს საღამოს 10 საათზე პრეობრაჟენსკის ქუჩით მიმავალ გრ. არუმანოვს თავს დასცემია ხუთი შეიარაღებული კაცი. წაურთმევიათ 85 მანეთი.

## ქართულ ეკლესიის აკლება

(დასასრული*)

„კავკასიის ადმინისტრაცია სომხებს ყოველთვის უპირატესობას აძლევდა ქართველებთან,—ამბობს უცნობი ავტორი გადმოსახლების პოლიტიკის შესახებ.—რუსეთის მთავრობამ ოსმალეთიდან ორას ათასზე მეტი სომეხი გადმოასახლა და დაასახლა მესხეთში, ბორჩალოში, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში. ამით მთავრობას უნდოდა ხელოვნურად გაეთქვიფა ქართველი ერი სხვა ხალხებში და ამით შეესუსტებინა მისი ძალა.

უკანასკნელ ხანეში იგივე მთავრობა სხვებს ასახლებს შირაქისა და ელდარის ველებს და ქართველებს კი უფლებას არ აძლევს იქ დასახლებისა და საქონლის ძოვნისას, ქიზიყს კი შიმშილი და გადაშენება მოელის. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, რომელნიც ზემო ქართლის გულს შეადგენენ, ქართველებისთვის სამუდამოდ დაიკარგნენ, სომხებმა კი იქაურობა გაავსეს. მრავალი მონასტრები და ეკკლესია, უძველესი სიმდიდრე ქართველ ერისა, აუარებელი მინგრეულ-მონგრეული სოფელი და სამშობლო შოთა რუსთაველისა სულ უფასოდ და მუქთად შერჩათ ოსმალეთიდან გადმოსულ სომხებს.

ბიუროკრატიამ ქართველებს დასახლება და მიწის შეძენა აუკრძალა საქართველოს ერთ ნაწილში, სოხუმის ოლქში, სადაც ქართველ მეფეებს რამდენიმე ასი წლის განმავლობაში სასახლეები ჰქონდათ და სადაც მე-XVII საუკუნემდის არსებობდა საფხაზო-იმერეთის კათალიკოსთა კათედრა. ამავე დროს რუსეთის მთავრობამ ეს მდიდარი კუთხე დაურიგა ესტებს, ლატიშებს, ფინებს, ჩეხებს, მოლდავანელებს, თათრებსა და ყველაზე მეტი მისცა სომხებს. ამ მხრით რუსეთის ბიუროკრატიამ ქართველები და ებრაელები ერთ დღეში ჩააყენა. ჩვენი პრესსა ხმა მაღლა გაიძახის, ებრაელები და სხვა ერები უნდა გავათანასწოროთო, მაგრამ ხმას არ იღებს ქართველების შესახებ, რომელნიც 1500 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ აფხაზეთში და ეხლაც ბევრი ცხოვრობს. აი ასე ასრულებს რუ-

*) იხ. „ისარი" № 110

სეთის ცხლანდელი მთავრობა იმ პირობას, რომელიც დადებულ იქმნა საქართველოსა და რუსეთის შორის!“

„საქართველოს რაც შეიძლება ფართე თვითმმართველობა უნდა მიეცეს. საქართველოს შეადგენენ: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები და ზაქათალისა, სოხუმისა და ბათუმის ოლქები. უნდა აღდგენილ იქმნას დაპირება იმპერატორის ალექსანდრე I-სა, რომელიც სამუდამოდ დაივიწყეს, და აღიარებულ იქმნას ქართველ ერის უფლება მშვიდობიან ეროვნულ განვითარებისა.“

„საჭიროა ადგილობრივმა მოხელეებმა და უფრო კი ქართულ ეკკლესიის მეთაურმა რუსმა ეგზარხოსმა ქართული ენა იცოდეს, „მაგრამ რუსის ეგზარხოსებს ეს ჭეშმარიტება არა სწამთ. 1811 წლიდან დაობლებულ ქართულ ეკლესიებს სათავეში უდგა ისეთი კაცები, რომელთაც ქართულ ენისა არაფერი ესმით.“ საქმე იქამდის მივიდა, რომ „საქართველოს ეგზარხოსი ნიკონი თავის სამწყსოს ვერ ეჩვენება შიშით. მას შემდეგ, რაც ტფილისში ჩამოვიდა, გარეთ იშვიათად გამოდის და თუ გამოვიდა, ყაზახები უნდა გამოიყოლოს თან.“

საქართველო თავის უფლების აღდგენას თხოულობს, მაგრამ

„რუსეთის ბიუროკრატიამ ეს საქმე გადასცა საეკლესიო კრებას, ვოსტორგოვ-ბუტკევიჩებს, რომელთაც უფლება მისცა გაესამართლებინა ქართველები, ის ქართველები, რომელიც ვოსტორგოვ-ბუტკევიჩებსა და მათ ძმებს უჩივიან. ისინი უნდა დამნაშავის სკამზე ისხდნენ, ისინი-ნი კი მოსამართლეებათ დანიშნეს. ეს არის სამართალი? ან როგორ მოექცნენ სიმართლის თქმისთვის ეპისკოპოს კირიონს, რომელიც თავის განათლებითა და მოღვაწეობით რუსეთის ყველა ეპისკოპოსებსა და, „მიტროპოლიტებზე მაღლა სდგას!“

„ქართველებს არ შეუძლიანთ და არც უფლება აქვთ დაემორჩილონ იმ ძალმომრეობას, რომელიც მიაყენა მათ რუსეთის მთავრობამ. ავტოკეფალურმა ეკკლესიამ შეიძლება დაკარგოს თავის დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ ის დასტურს დასცემს ამას; ივერიის ეკკლესიას კი არ დაუთმია თავის თავისუფლება, ამიტომ იგი დღესაც ავტოკეფალურ ეკლესიად უნდა ჩაითვალოს. ქართულ ეკკლესიის ბედ-იღბლის გადაწყვეტა მიანდეს რუსის საეკკლესიო კრებას, მაგრამ რა უფლება აქვს ამ კრებას გადასწყვიტოს იმ ეკკლესიის ბედი, რომელიც კანონიერად მას არ ემორჩილება და დამოუკიდებელია? ქართველები არ უნდა დაემორჩილნენ საეკკლესიო კრების არც ერთ დადგენილებას და არც წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ ამ კრებაზე.

„ზიზღისა და გაკიცხვის ღირსი იქნება ქართველი ერი, თუ მან მედგრად არ მოითხოვა დაბრუნება იმ უფლებისა, რომელიც მას ძალმომრეობითა და უსამართლოდ წაართვა რუსეთის მთავრობამ“.

## პატარა ფელეტონი

### შიმშილი

(თარგმანი)

ის ყოველთვის მიწვდიდა ხელს და მეუბნებოდა:

— ამხანაგო, განიკითხეთ უსაქმოდ დარჩენილი! და ყოველთვის ჩუმად ჩაუვლიდი ხოლმე და ჩემს გულში სიბრალულს არ მიღვიძებდა. პირიქით, მაშფოთებდა.

ეს კაცი მეტის-მეტი სოლაღად მექცეოდა. ეს ხომ გადაჭარბებული თავხედობაა,—ამხანაგს მეძახის. უკვე ერთი თვეა, რაც სამუშაო დავკარგე.

მალე საჭმლისათვის აღარ მექნება ფული. და ის კი, როგორც წინად, მიწვდის ხელს და მეუბნება:

— ამხანაგო, აღმოუჩინეთ დახმარება უსაქმოთ დარჩენილს.

მხოლოდ მისი ხმა შესუსტდა, ჭუჭყიანი, შავი, დიდი-ხნის გაუკრეჭავ წვერით შემოსილი ლოყები ჩაუცვივდა და თვალებიც ღრმად ჩაუცვივდა.

ნუ თუ ეს კაცი ფიქრობს, რომ მე ძალმიძს დავეხმარო ყველა მაწანწალას და ღატაკს? დღეს მე არ მიჭამია. შიმშილი მტანჯავდა. გაბრაზებული ვიყავი, იმან კი ჩვეულებისამებრ გამომიწოდა ხელი. მე უკმეხად დავუყვირე:

— მე არაფერს მოგცემ! გესმის, არაფერს, არც ერთ გრშის!..

შიმშილმა სრულიად ღონე გამომილია. გავყიდე ყოველისფერი, რაც კი რამ მებადა. ვგრძნობდი, როგორ თანდათან ვუახლოვდებოდი მას, რომელიც სდგას იმ სასახლის კუთხეში, სადაც მე ვცხოვრობ.

კიდევ ერთი-ორი დღე და მე..... არა, არა! მაშინებს ამაზე ფიქრი ..

აგერ ისა სდგას... ჭუჭყიანი, დაფხრეწილი ტანსაცმელი...

ბედშავი დაუბანავი თმა... მორჩილი მშიშარა სახე...

ნუ თუ მშიერია?

განა შეიძლება ისეთი მშიერი იყოს, როგორც მე!

თუ ხელს გამომიწვდის— დავკრავ. ღონივრადაც ჩავკრავ ისე, როგორც შეუძლიან ჩაჰკრას მშიერმა მშიერს.

მან დაკვირვებით შემომხედა. განივრათ გაეღო თვალები. ხელი აღარ გამომიწოდა, და მისმა ტუჩებმა წაიჩურჩულეს:

— გამარჯობა, ამხანაგო! თ.

## ჩონი თავსგადასავალი სპარსეთიდან საქართველოსაკენ მოგზაურობის დროს

(შემდეგი *)

ამის შემდეგ შეიდობა უთხარით ჰაჯის და წამოვედით. ჩონი პირუტყი გამოვრეკეთ ახლო სოფელში, რომელსაც ჰქიან ვანიშანი. იქაც ცოტა ცხორი გავყიდეთ. საღამოს იქავრი ბაღების დასათვალიერებლად გავედით. ამ სოფელს ხევის წყალიც აქვს და ქაჰრიზიც*); იმით ირწყვის იქავრი დიდი მამული და ბაღები. იქავრი მამული ბევრად ჯობია ჩონი ფერეიდნის**) მამულს. ემ სოფელს ბევრი ბაღი აქვს, აქავრი ყურძენი ყველგან გათქმულია. ბაღებში მოდის სუნაერ ხეხილები. მოჰყავთ პური, ბამბა, თამბაქო და არის კარგი ბოსტანი. აქავრებს ყველაფერი თავის მამულში მოუდისყე. დედა-კაცებმაც სულ ხელობა იციან—ხალიჩის ქსოვა და ხამისა. იმით ტანისამოსი და საგებელი სულ ხამია თავიანთ ხელით-ნაკეთები. ადგილი ბუნებით მდიდარეა, ხალხიც გამრჯელი, მაგრამ ბევრი ღარიბიც არის, რადგანაც გადასახადი ბევრიაყე. ეს გადასახადი წლივ და წლივ მატულობს. ამ სოფლის მინდორში ერთნაირი ევდის ბუჩქი იზრდება; როცა ეჩოით დაჰკაპვენ, ამ ბუჩქს წებო გამოდის, აგროვებენ და ჰყიდიან. ამ სოფლის საკუთარი მინდორი, სადაც ის ბუჩქი ხარობს, ჰაქიმს (გუბერნატორს) მიუყიდია ქირმანშას ქალაქის ხალხისთვის და დიდი ფული აუღია. ეხლა სამი თვეა, რაც ეს უცხო ხალხი შესევია ამ სოფელს და იმ წებოს იჭერს. მინდორი სულ მოუსპიაყე, რადგანაც წებოს კრეფელები ყოველ დღეს იმ მინდორს თხრიან. იქავრი მცხოვრებლები ძალიან შაწუხებულები არიან, რადგანაც ათასამდის უცხო ხალხს იმით საკუთარი მინდორი საბლით გოუყოპიაყე.

ამას გარდა იმოდენა ხალხს ბევრი ცხენი, ჯორი, ვირი ჰყავს; ესენი სულ იმით მამულში გაუშვიაყე და ყანა თუ ბაღახი იმათ ფეხთ ქვეშ გასულა, ჰაჯიმ შემომჩივლა, რომ ერთი თვის წინ ოცამდი კაცი ემ სოფლისა წაველით ჩონ ჰაქიმთან და ვთხოვეთ, რომ ეს ფული, რაც ჩონ მინდორის გასყიდვისა აუღია, ნახავარი ჩონ იჯარაში გათვალოს, მაგრამ ლანძღვით გომოგრეკნა და კიდეც დაგობარა, რომ ეს ხალხი არავინ არ შეაწყინოს, თორემ იმათ შამწყენელს ოცი თუმანი ჯარიმა ექნებაო. აბა რაგქნათ, კალიაზედ უფრო მოზარალე გამხდარა ეს ხალხი ჩონთვისაო. მე უპასუხე: ამ ხალხის ბრალი კი არ არის, რასაცა ხედავთ, თქენ ჰაქიმის თვალით დაინახე მეთქი. ახლა ის მევნება, სუ ღმერთის ბრალიაო.

მეორე დღეს იქიდან წამოვედით გულფეიგანის სოფლებში. გულფეიგანი არის პატარა ქალაქი. ის დოქრში ზემოთ და ჩონ სოფლებში დავდიოდით. ერთ სოფელში ნაცნობი გყვანდა ჰაჯი მაღალია. ღამით იმის სახლში დავრჩით. დილას ჰაჯიმ ოცი ცხორი იყიდა და იქიდან სხვა სოფლებში გავიარეთ. სოფლები ერთმანერთზე ახლო ახლო არის. გულფეიგანს დიდი მამულ-წყალი აქვს. მოსავალი კარგი იცის, მეტად მოდის ყურძენი და ბამბა და ბოსტანი. მაგრამ იმით მინდორს ბალახი სულებით არ მოჰყავს და უბალახობის გამო პირუტყი ძალიან ცოტა ჰყავყე.

მივედით ერთს სოფელში, რომელსაც ჰქიან იმამზადა. იმამზადა ანუ მოჰამადის წმიდა ნათესავის საფლავი. იქა ცხოვრობს ოცი კომლი ღარიბი უმამულო ხალხი. იმათი საცხოვრებელი ის არის, რომ ვინაც იმამზადას სალოცავად მუვა და რაც იმამზადას შაჰწირონ, იმ ხალხმა ისარგებლოს. ღამით ერთ სახლში ვიყნევით. ამ სახლის პატრონს ჰყავს ექსი პატარა ვაჟი და ორი ქალი. ძლიერ ღარიბია, ის თავის ოჯახი სულ ტიტველ-შიშვლები ჰყავს, რომ ხელის ოდენა ხამი ენატრებათ. ბევრი შამომჩივლა თავის სიღარიბე. ბოლოს სთქვა, მეტამც ორი ეს ბავში შენ წაიყვანო და შენები იყნენო. ძალიან გული დემეწო. ღამეს იმ ყმაწვილების გასახარებლად ერთი თხა დავკალით. ვხედავ, რომ იმ ყმაწვილებს დიდი სიხარული მეცაყე. თავიანთ მამას ეხეწებიან, სტუმარებს ნუგოვშებთო. მამა ებნებისყე, ამ სტუმართ ორი თქენყე მიჰყავთ გასაზრდელადო. დილით ავდეგით, მივდივართ, ბავშები დიდს მოლოდინშია, რომ წავიყვანთ. ჩონაც გული დაგვწყდა, მაგრამ დავპირდითყე: გამოივლით და წაგიყვანთყეო. ისინიც დამშიდებულნი დარჩნენ.

ჩონ წავედითყე ერთ პატარა ქალაქში, სახელით ხომეინი. ისიც მონაწილეა ერთი ჰაქიმისა. გზაში შავედით ერთი ჩაიხანაში. იქ დოგვხდა ორი ჩონი ქართველი, რომელთაც ცხორი გეყიდაყე და მობრუნებულიყნეს. იმათ სოფლის ამბავი გომოგვკითხეს.

საღამოს მოვწდით ხომეინს. მეორე დღეს ყასბებმა იყიდეს ორმოცდა ორი ცხორი და ოთხი ვირი. ხომენში დავრჩით ექსი დღეს. მოვინდომეთ სულთან აბაში***) წასვლა; ორი დღის სავალია. საღამოს სოფლის განზეგ გნახეთ ქარავანი, რომელიც მიდიოდა სულთან აბადს. ისპაჰანის ხალხები იყნეს—6 კაცი ტყავის საპალნებით მიდიოდა ჰამადანის ქალაქში სავაჭროდ. ჩონაც იმ ქარავანას გავყევითყე. ჩონ გვქონდა სამას ორმოცდა ცამეტი თუმანი პარსული ფული (917 მანეთი 80 კაპეიკი). იმ ღამეს დანარჩენ პირუტყებით მოვედით ქარვანასთან. შუაღამისას ქარავანი და ჩონ გაუდექით გზას. ცოტხნის შემდეგ მოგოწივა ორი ცხენიანი და გვკითხა, ვინა ხართ და სად მიდითო. უპასუხეთ მივდივართ ქალაქში. მაშ ამხანაგები ვართო. სახელი გამოგვკითხეთ. იმანაც სთქვა, ეს არის ფათოლა ხანი და იჯარის ფული მიაქვს ჰაქიმთანო. ეს ხანი არის სოფლის მამასახლისი და მეორე შაიარაღებული იმის კაცი. გავიარეთ სოფელი კარჩა. ორი ცხენიანი წინ მიდის, დაახლოვებით ქარავანი და ცოტას დასხლეტით ჩონ. სოფელს გავშორდით ორი ვჯი. ის ცხენიანი ერთ სერს გადაეფარნეს. ქარავანიც უკან მიიდევს, ერთ დროს ვნახეთ, რომ ცხენიანები გაჩნდეს. პირველად ორი, კიდევ ოთხი, კიდევ ოთხი და ჩონ გარშემო შაკრეს და თოფები დოგოყარეს. მე ცოტა გზას გავიქე. სამი ცხენიანი წამოვიდეს ჩემყენ და ორი თოფი მესროლეს. როდესაც მივიხედე ხმალი ამოღებულნი მამაწყდეს, ფიცხლავ ორნი გადმოხტეს ცხენებსა და ავშარა მიჰცეს იმ მესამეს და გინებით დამიწყვეს ხელების შაკვრა. ვხედავ, რომ ჩემი ამხანაგი ყოლამრეზაც დაუჭერიაყე და იმ ქარავანასაც დარევიან. უცებ თვალები მომაკრეს სარტყელით და ხელებზე ძალიან გამიჭირეს, როდესაც მაგრა განასკა, ერთი ჯოხიც დამარტყა და გინებით მითხრა, შენ უნდა უჭკოლად თავი მოჭკრათო. იმ მეორემ შალანძლა, ხელ შეკრულ კაცს ნუს ცემო. ეხლა ერთმა მომკიდა ხელი და მივდივართ, სადაც იმ გზას დაშორებით ჩუყური ღელიბია. ყოლომრეზაც ჩემთან ახლო მაჰყავყე. თვალ მოკრული როდისაც წამოვაწყდებით, ან წავიქცევით, დაბალის ხმით გოგინებენ და გოჩქარებენ. დიდ ხანს გოტარეს ერთ ალაგას მე დამსვეს და ყოლამრეზა ცოტას დაშორებით. ეხლა ეგრე მეგონა, რომ ემ სამ კაცის გარდა ჩონთა არავინ არის. სხონი იმ ჩონ ამხანაგებს და იმით საქონელს სინჯავდეს. მე დავიძახე, ყოლამ რეზა აბა სადა ხარ, იძრახე მეთქი. ამანაც ხმა მომცა. იმ დროს ორი მეკობრე ჩონთან გაჩნდა. გინებით მეფიცებიდა, რომ თუ ხმა ამოგიღიაყე, ორთავ ტყვით აგხოცათყეო.

მე იმ დროს ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში. ვამბობ თუ თოფ-იარაღი მქონიყო, ემ დღეს არავნახევდი მეთქი. თუ იარაღი თან მქონოდა, ან მოკვდებოდით ან ხუთავ ამოვწყვედიყე, თუმც ჩონზე მეტი იყნეს. დიდ ხანს ვეყარენით. მეკობრების ხმა გასწყდა. იმ დროს მე კლავებმა ძალიან გამიჭირა, აგრერო სუსტი შავიქენ. თვალები და ყურები ერთად მოკრული გქონდის, რომ აღარც ვხედავდი და აღარც მესმოდის. ავდექ და უკივლე ყოლამრეზას, აბა სადა ხარ მეთქი. ცოტად მესმის, რომ შორიდგან ამის ხმა მოდის. ეხლა ნელ ნელა ფეხების ცურვით, რომ არსად ჩავვარდე, სიფრთხილით მივდივარ. თან და თან ყოლომრეზაც ხმას იქს. დიდის ხან ძებნის შემდეგ ერთმანეთი მოვნახეთ. მე ძალიან შაწუხებული ვიყავ გაჭერილ კლავებისაგან და ყოლომრეზა ჩემზედ უფრო შაწუხებული. პირველ კბილით ერთმანეთს თვალები გაუხსენით. ახლა ხელების გახსნას დავადექით ორ საათამდინ ჩონ ძლივ ძლივობით ხელები გავიხსენით, დიდს ხანს თვალები გუქრის და არც ხელები გუქერებს. ვისხედით გახურებულნი. ავდექით, ჩონ ახლო დავათვალიერეთ, ის ჩონი პირუტყები იქ იყნეს. შავაქუჩეთყე. ხურჯინი ფულებით წაეღოყე. ხან ვამბობთ, რო ჯანდაბას იყოს ფული; თუ ჩონი თავი დეხოცაყე, ხელის შამტაცებელი ვინ იყო; ხან ვამბობთ— უფულო კაცი მოკლულიაო. თავ მწარედ ვფიქრობდით, მაგრამ შაწუხება და ფიქრი კაცს არაფერს უშველის. ბოლოს იმ ჩონ პირუტყს შაუწყერით. ცოტა გზას რომ ჩამოვედით, საპალნე და პირუტყი დავინახეთ. ახლო მივედით, ვნახეთ სულ ხელფეხ შაკრულები ყრიან. შასაბრალოდ, ცალკე ცალკე. ფიცხლავ ხელები დაუსხენითყე. ცოტას ხნის შემდეგ თავიანთი საპალნები დაათვალიერეს. ერთბაშად ჟივილ-კივილი დაუდგათყე: ზოგი ტირილით უბნობს, ჩემი ფულიო, ზოგი—კაი ჩემი თრიაკი. მეორე ორეს ხელით თავში იცემს: ვაი ჩემი აბრეშუმი, ჩემი ფულიო. ზოგი შაჰტირის, ნახე, ნახე, რა დღე დოგუდგაო. ვირჩიეთ დაბრუნება უკან, დილანდელ სოფელში. იმათაც თავიანთი საპალნები აჰკიდეს. ერთი ხმა მოგოსმა. ვნახეთ: ის ორი ცხენიანი, რომელიც ჩონ წინ იყნეს, იქ ყრიან. მივედით. ვხედავთ, იმ ხანს ხელები შაკრული აქვს. როდისაც გვინდოდა გახსნა, ვნახეთ სისხლი გასდის და ძალიან დასუსტებულია. სამგან წელის დანა დაეცაყე მკლავის გვერდი და კაჩა დაჰკრიყო. იმის კაცი მეორე მხარესყე ეგდო. ისიც ავაყენეთ, იმისი თოფ-იარაღი წაეღოყე. დაუწყევით იმას ლანძღვა, რაისთვის თოფი არ ესროლეყეო, მაგრამ იმას ენას ჩავარდნიყო შიშით, აღარაფერს არ უბნობდა. ბოლოს შავიკრიბენით და მოვედით იმ დილანდელ სოფელში. იყო შუვა ღამე. ფათოლა ხანმა სთქვა, მე წავალ და კაცებს გავგზავნი მეკობრების საძებნელადაო. ჩონ და იმ ქარავანას იმ ღამეს არავინ ალაგი არ მოქცა. ერთი კედლის ძირს გავათენეთ. სოფელი ცუდად გვიყურებდის. ვისაც შავჩივლეთ, გვითხრა: მოგშორდით აქიდან; ჩონ სოფელში ჯერ მეკობრე არშამოსულაო. ერთი ნამგრევი ქარვასლა იყო. იმ ღამეს დილამდის იქ ყარაულობა გავზიდეთ, რადგანაც სახლებში არავინ ალაგი არ მოქცა და იმ ნამგრევშიაც გოშინოდა, პირუტყვი არ დაეჰპარათ. იმ დროს ძალიან სურვილი მქონდა, ოცი ის ჩონი შეარაღებულ ბიჭები იქამყოლიყო, რომ რაც ჩემს გულს უნდოდა, იმ სოფლისთვის თავზე მომეტანა. ეხლა რა ვქნა მარტო კაცი უიარაღო. მეორე დღეს ბევრი ვეძებეთ, მაგრამ მეკობრებისა ვერაფერი გავეგეთყე. იქიდან წამოვედით ქალაქში. იქ ჩონი დანარჩენი პირუტყვი დავყიდეთ, მაგრამ ძალიან იაფად, იმიტომ რომ გული არ გქონდა ლაპარაკისა. ჩონ გვინდოდა ჰაქიმთან ჩივილი, მაგრამ ამბავი დოგხდა, რომ ქალაქის ჰაქიმი ფახრელ მოლქი იმ დღეებში მიდიოდა თეირანს. გზაში დადგომიან ოთხასი ცხენიანი, რომელთაც იმ დღეებში ბევრი ქარავანი გაუცარცავყე. ის ჰაქიმიც იმ დღეებში გეცარცვაყე. სამოცი ათას თუმანი ფული და კიდეც რამოდენი თოფი და ბარგი ჰაქიმისა წაეღოყე. სხო და სხო სოვდაგრებისა კი არ ეტყობა რამდენი სავაჭრო საქონელი წასულა. ემ ამბავების გაგებით, ჩონ იმედი მოგოჭრა, რადგანაც ჰაქიმის საქონელი, ფული და ბარგი წაიღონ, ჩონ რათიღა გული დავიკლოთ.

ერთ დღეს გავიგეთ, რომ ფეირეიდნიდგან მოსულა ორ-ორასი ცხენიანი იმ მეკობრების მოსანახავად. დამდგარან ერთ სოფელში. იმის ახლო ის ხალხი და ჰაქიმი გაუცარცავყე. ჩონ მოვინდომეთ წასლა საჩივარად. ფურგუნი დავიქირავეთ, რომელიც პირდაპირ ყუმის ქალაქში მიდიოდის. ის სოფელიც, რომელშიაც ის ცხენიანები მდგარან, იმ გზაზედ არის. ჩავსხედით ფურგუნში. დღე და ღამე მივდივართ. მესამე დღეს იმ სოფელს მოუახლოვდით. ვხედავთ ვინც გზაში მოდის, სულ გოვნება, რომ ეს ცხენიანები გამ ლეელ გამომვლელს ცორცვენო, ჩონ არ ვიჯერებთ. საღამომდი ათამდი კაცი ვნახეთ, რო სულ გეცარცვაყე. წეეღოთ ჩაი-შაქარი, თრიაქი, ჩითი, ფული. ვისაც რა აქვს, ართმევენო. ჩონ შიშით იმ სოფლის განზე ჩამოხდით. მეფურგუნემ ცოტარამ შეაჭამაყე თავის ცხენებს და მალე გაუდეგით გზასა. წავედით ყუმის ქალაქში, რადგანაც იმ საშინელ გზაზე უკან დაბრუნება არ შაგოძლო. მაგრამ გზაზე ქარავანი შომოგოყარა, რამელსაც გზაში მეკობრე გარდად გომიყო. დოგობრუნეს უკან იმ სადგურში. მეორე დღეს დიდი შიშით ჩონ და იმ ქარავანმა ის არე მარე გავიარეთ. მესამე დღეს მოვწდით ყუმში: ერთ სასტუმროში დავბინავდით. მინდა მოგახსენოთ იმ სოფლის ამბავი, რომელშიგაც ის ცხენიანები მისულიყნეს მეკობრების მოსანახად. ის ვაჟკაცები კი არ იყნეს, რომ მეკობრე მეენახაყე. ისინი სოფელს დასცემიყნეს, ვინაც იმ სოფლის ხალხი დენახვაყე, დაეჭირათ, დანარჩენანი გამოქცევლიყნეს ემბასტში. ვხედავთ, რომ სულ გლეხი, მიწის მუშა ხალხი იყო ორმოცამდინ კაცი. სარტყელები მოუბამყე კისრებზე და თავიანთ თავი გამოუბამყე იმ ბასტის ფანჯარებზე. ხმა მაღლა ყვიროდის: ხალხო გამაიკითხეთ, რა გუქნია რომ ცხენიანები დოგოქცნენ და ჩონი ცოლ შვილი დაუნებებიაყე; ჩონი საქონელი სულ დაკლეს, დაჭამეს და დაყიდეს და სახლები სულ დოგუწეს, რადგანაც გობრალებენ, რომ ჰაქიმის მეკობრები თქენა ხართო. დილიდგან საღამომდის იქ დაბმულები ყრიან. ხალხიც ჭიანჭველასავით შადის და გადის, იმ საწყალებს კი არავინ ყურს არ უგდებდის. ამისთანა სამართალია პარსეთში. მესამე დღეს მოვიდა სეედი იმ იმამზადეს უფროსი, რომელსაც აბარია იმამზადესათვის შეწირული ძვირფასი ნივთები, და კარგად გაცნობილია შაჰსან. იმ სეედმა დაბმულ ხალხს უბძანაყე ადექითო. მე საქმეს იგრე მოვახერხებ, რომ ცხენიანები უკან დაბრუნდენო. მაგრამ ის ცხენიანები თითონაც წამოვიდოდეს, რადგანაც იმ სოფელში აღარც საჭმელი ებადებოდა და არც სხორამე.

უოლამოზეინ ონიკაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 111.

*) ქაჰრიზი არის მიწაში გაყვანილი წყლის მილი.

**) ფერეიდანი ჩონი პატარა საქართველოა.

***) სულთან აბაში ქალაქია დიდი.

## პროვინციის ცხოვრება

**რაჭა**. შარშან გაზაფხულის აქეთ ტუღუშიდაშვილის მოქმედებაზე რაჭაში ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ დანაწერი მკრთალი სურათია იმისი, რაც ნამდვილად ხდებოდა. ამ სტრიქონების წერის დროს ტუღუშიდაშვილი ცოცხალთა შორის აღარ არის—იგი იმსხვერპლა უაზახთა ტყვიამ. ტუღუშიდაშვილის მოკვლა ასეთ პირობებში მოხდა. 10 მაისს ტუღუშიდაშვილი თავის რაზმით თავს დაესხა ს. სადმელში მღვდელ ბორ. კერესელიძეს და რაც კი რამ ებადა, ყველაფერი წაიღო. შეშინებული მღვდელი რიცეთელის დუქნებისაკენ გაქცეულა, ტუღუშიდაშვილიც თან გასდევნებიან რიცეულის დუქნებიც გაუცარცვავს. რიცეულიდან ტუღუშიდაშვილი სოფ. ხვანჭკარაში წასულა და თ-დ დიმიტრი ყიფიანის სახლობისათვის 100 მანეთი მოუთხოვნია. რადგან ფული არ აღმოსჩენიათ, ტუღუშიდაშვილს თავის თანამგზავრებით უთქვამს, ფული დაამზადეთ და ერთი დღის შემდეგ მოვალთო. მართლა ერთი დღის შემდეგ კვლავ მისულან დ. ყიფიანის სახლში, სადაც მოსამსახურეების მეტი არავინ დაჰხვედრიათ. მეტი რა გზა ჰქონდათ, უკან წასულან. ამ ტუღუშიდაშვილის რაზმი, რომლის უმრავლესობას გურულები შეადგენდნენ, ორ ჯგუფად გაყოფილა. ერთი ჭრებალოსაკენ წასულა, თვით ტუღუშიდაშვილი დოლიძესთან ერთად ახლო-მახლო სოფლებში თურმე იყო. ჭრებალოში წასული რაზმელები გზაზე შე-

უპირიათ ჯამუშის სიტყვით. ეს რომ გაუგია ტყემელაშვილს განუზრახავს სტრაჟნიკების გზაზე დახვედრა. გზაზე ტყემელაშვილს გაუძარცვავს მეურმეები, მოუკლავს კილასონია, რომელსაც ზედ არაფერი აღმოსჩენია, და ჩუკიშთან, ჩიქოვანის ვენახის მახლობლად, სადილად დამჯდარა. გაძარცულ მეურმეების დასმენით თუ სხვა საშუალებით, მახლობლად მიმავალ ყაზახებს შეუტყვიათ ეს ამბავი და სწორედ იმ დროს დასხმიან თავს, როცა ტყემელაშვილი სადილობდა თურმე ატეხილა სროლა. დოლიძე მალე დაჭრილა სასიკვდილოდ, ხოლო ტყემელაშვილი გაქცეულა და გზა-გზა სროლა დაუწყია ყაზახებისთვის. პატარა ხანს უკან ტყემელაშვილიც დაჭრილა ფეხში. სისხლის დენამ იმდენად დაასუსტა თურმე ტყემელაშვილი, რომ სიარული ვეღარ შესძლებია, დაცემულა გულ აღმა და თოფი განზე გადაუგდია. ყაზახებს ჰგონებიათ, მოკლულიაო, და თამამად მისულან. სწორედ ამ დროს ტყემელაშვილი წამომჯდარა, ურიადნიკისათვის უსროლია რევოლვერი და მოუკლავს. ყაზახები ისე გაგულისებულან, რომ ტყემელაშვილი ნაკუწ-ნაკუწად აუქნიათ.

ორ შეპყრობილ გურულს პოლიციისათვის დაუსახელებია ის კაცები, რომელნიც ვითომ რაზმს ბინას აძლევდნენ და ამის შემდეგ ცამეტი კაცი შეუპყრია პოლიციას. შეპყრობილთა შორის არის გიორგი ჩაჩხიანი.

წინა წერილშიაც გაცნობეთ, რომ რაჭა, რომელსაც არა ჰქონის პურნახული, წრეულს დიდ განსაცდელში ჩავარდა. სიმინდი არც ქუთაისიდან მოდის და არც თერგის ოლქიდან, ამის გამო სიმინდის ფასმა მეტად აიწია; ეხლა ფუთ სიმინდს ექვს აბაზად ვერ იშოვნის კაცი. ამასთან ერთად თითქმის ერთი თვის უწვიმობის გამო მრავალი ადგილი დარჩა დაუთესავი. ამას იქით წვიმაც რომ მოვიდეს, ხალხს ვეღარაფერს არგებს. დღევანდელი მდგომარეობა რაჭაში აუტანელია, მაგრამ ახლო მომავალი უარესს უქადის. —ნი.

---

**სადგური გომი.** შავი ქვის კარგმა ფასმა და დიდმა მოთხოვნილებამ ჩვენზედაც იმოქმედა. რამდენიმე წლის წინად შემწუდარი მარგანეცის ზიდვა გომის სადგურზე განახლდა და შავი ქვით დატვირთული ურმები ერთი მეორეს მოსდევენ. სამეურნეო სინდიკატი, რომელსაც საგანგებოთ აქვს მოწყობილი სასწორი დატვირთულ ურმების ასაწონავად, ვერ ასწრობს ურმების წონას. მარგანეცის ზიდვა უფრო იმან გააძლიერა, რომ სოფლის მუშა ღონის გამო უსაქმოდ დარჩა—დათესილი სიმინდი მას არ ამოუვიდა, რომ გამარგლოს, ხოლო სხვა მუშაობა ამ ჟამად არ არის. ამიტომ იგი მიეშურა ჭიათურას, რომ შიმშილის მოლოდინში ორიოდე გროში აიღოს. ქირას კარგს აძლევენ მადნის მზიდავებს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ მანძილს, რომელიც მან უნდა გამოიაროს ჭიათურიდგან გომამდე და იმ წვალებასაც, რომელსაც ზოგიერთი მზიდავი განიცდის ფულის მიღების დროს, ადვილად უნდა ჩაეთვალოთ ანაღები ფასი. ხშირათ ასეთი შემთხვევაა, გლეხი დილაზე ჩაბარებს ხოლმე მოიჯარადრეს შავ ქვას, მაგრამ რადგან უკანასკნელს ფული არა აქვს, საღამომდის აცდევინებს ხოლმე დაღლილ-დაქანცულ გლეხს თავის საქონლით. ამ ნიადაგზე უსიამოვნება ხშირად ხდება. ამას წინად ერთი უპირული მოიჯარადრე მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა კინაღამ არ გაგლიჯეს. ეს ამბავი გაიგო სინდიკატში დაბინავებულმა რაზმმა და კინაღამ სროლა არ ასტეხა. არავინ რჩება ისეთ მოგებაში შავი ქვის ზიდვით, როგორც სინდიკატი, რომელიც თითო ფუთის აწონაში და მადნის დაბინავებასა და შენახვაში მრეწველთ ახდევინებს 2 კაპეიკს.

მოსავლის პირი აქაც ისე უიმედოა, როგორც სხვაგან მთელ საქართველოში. ჩვენი არე-მარე სულ ურწყავი ადგილებია და დიდი გვალვის გამო პური მოიტრუსა, ხოლო სიმინდი არ ამოსულა. ხალხი ხედავს, რა უზომო უბედურება მოელის, და სასოწარკვეთილებას არის მიცემული. მოსავლის უიმედობამ თავის გავლენა იქონია პურნახულის ფასის აწევაზე; თუ აქამდის სიმინდი 50—60 კ იყიდებოდა ფუთი, ეხლა 75 კ. ვერ იშოვით. **მგზავრი.**

## ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

წარსულ აპრილის შუა რიცხვებში, როგორც გაგებული გვაქვს სარწმუნო წყაროებიდან, ექსარხოსის განკარგულებით კანცელარიამ მოსთხოვა ბლაღოჩინებს სამღვდელოების აზრი საეპარქიო კრების შესახებ. მას შემდეგ გადის თვეზე მეტი და აქამდის გარდა არც ერთ ბლაღოჩინს ხმა არ ამოუღია, და თითქოს აქ საყურადღებო არაფერია. ჯერ ერთი, რომ საეპარქიო კრება ყოველ წლიურად რამდენჯერმე თუ არა, ერთხელ აუცილებლად მაინც უნდა მოხდეს ხოლმე. შარშან საეპარქიო კრებამაც დაადგინა, ყოველ წლიურად მოწოდებულ იქმნას საეპარქიო კრებაო. ეს დადგენილება მთავრობამ დაამტკიცა კიდევაც. ესეც არ იყოს, ნუ თუ იმდენი ცნობის მოყვარეობა არ აქვს ჩვენს «მამებს-ქვეყნის მარილს», რომ ერთხელ მაინც შეიხედონ სასულიერო უწყების რომელსამე სასწავლებელში და გაიგონ მისი ყოფა-მდგომარეობა? საჭიროა გაიგოს სამღვდელოებამ ტფ. სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობა, რომლის შესანახი ხარჯიც ეკლესიასა და კრებულზეა გაწერილი, მაგრამ არ-კი ეკითხებიან, რაში და როგორ იხარჯება ეს ფულიო. ნუ თუ არაფერი ეჭირვება ქალთა საეპარქიო სასწავლებელს? სემინარია ხომ ორივეს წინ უსწრებს ამ მხრით. სანთლის ქარხანა რაღაა? ვითომ წლის განმავლობაში ისე დატრიალდა მისი ბედი, რომ სხვა ქარხნებს უკვე დაუწინაურდა? ნუ თუ ისე ბრმა უნდა იყვეს ეხლა კაცი, რომ კრების საჭიროებას არა ჰგრძნობდეს? არა, ჰგრძნობენ, მაგრამ ეს ოხერი გაღმერთებული «მე» ეღობება წინ. ვაი თუ მთავრობის საწყენი რამ ჩავიდინო და შევინიშნო; დამეკარგოს პენსია, ჩინ-ორდენმენდლებიო; ოღონდ მე ვიყო და ქვეყანა, თუ გინდ, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო.

ძლიერ გვაკვირვებს ზოგიერთ ბლაღოჩინის საქციელი. მათ არჩევნების შესახებ მოწერილობა ჯერაც არ გამოუცხადებიათ თავიანთ ოლქის სამღვდელოებისათვის და მაგრა დაუტუსაღებიათ მაგიდის უჯრაში. არც მომღვართ-მომღვარი ჰყავთ, რომელმაც უნდა მოუწოდოს კრებას და მოახდინოს არჩევნები. მიზეზი ბლაღოჩინების ამ გვარ ბეჯითობისა ადვილი გამოსაცნობია. ზოგი მათგანი კარკარ დამრწის და მუხლ-მოდრეკით ევედრება სამღვდელოებას, ისევ ამირჩიეთ, პენსიასა და ორდენზე დამსახურებას ცოტა მიკლია, მთავრობასთან თქვენც იცით, გავლენიანი კაცი ვარ და მეც გიმაგიერებთო. მეტი საცოდავობა კიდევ იქნება? წინად «დანოს დანოსზე» ჰგზავნიდნენ სამღვდელოების კრებების და მის არჩევნების შესახებ; რამდენსამე კაცს გაუბედურებასაც უპირებდნენ. ეხლა, როცა დაკანონდა, სდილობენ—ეს კანონი თავიანთ ჭკუასა და გემოვნებაზე დაატრიალონ და მოაწყონ საქმე თავიანთ სასარგებლოდ.

კრება აუცილებლად საჭიროა და სასწრაფოც. მაშ «კეთილ-მოწესენი» ვალდებულნი არიან დროზე აცნობონ, ვისაც ჯერ არს, რომ მოკლე ხანში შესდგეს საეპარქიო კრება. არჩევნების შესახებაც ნუ თაღლითობენ ზოგიერთი ბლაღოჩინები. ჯერ რას წარმოადგენს ეს ფრთებ და კუდ შეკვეცილი არჩევნები და ახლა ზედ თაღლითობაც დაერთო.

დროა, დრო საქმეს მოვკიდოთ ხელი, თორემ ქალაქის სამღვდელოების მიჩერება და მისის იმედით დარჩენა არ გვარგვია. ქალაქის სამღვდელოებას, მართალია, უნდა «რაღაც“ და მიექანება „სადღაც“, მაგრამ კუს ნაბიჯით. არც თუ გაიმტყუნებიან: მათის ცხოვრების პირობები და სოფლის სამღვდელოებისა ისე დაშორებულია ერთმანეთზე, როგორც ცა და დედამიწა. ფუფუნება - განცხრომითი ცხოვრება... ხუმრობა ხომ არ არის! თავგანწირვაა საჭირო, რომ მათ დღევანდელი თავიანთი ყოფა-მდგომარეობა დასთმონ... შესცვალონ. ამ გრძნობით აღჭურვილნი კი მათში ძლიერ ცოტანი არიან. **ქალელი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

„ისრის“ მე-94 ნომერში მოთავსებულია ველისციხის მამასახლისის წერილი, რომელშიაც ის თავს იმართლებს, ვითომ ერთობის მოღალატე არ იყოს და ზოგ ერთა გაზეთის კორესპონდენტებით მას ცილსა სწამებდნენ. სახ. სათათბიროს არჩევნების დროს მე შემთხვევით გიახელ კახეთს და სწორედ განცვიფრებაში მომიყვანა ველისციხის სოფლის სამმართველოში მომხდარმა ამბებმა. თავის დღეში ვერ წარმომიდგენდი, რომ კავკასიაში ასეთი რეაქციონური სოფლის სამმართველო იქნებოდა და ასე გათელავდნენ ფეხ-ქვეშ ხალხის უფლებას. ამის შესახებ უტყუარი საბუთები ხელთა მაქვს. რადგან ზემოაღნიშნულ კორესპონდენტებს პირადად არ ვიცნობ და არც საშუალება მაქვს მათი ვინაობა შევიტყო, ამიტომ ვთხოვ მათ თქვენის გაზეთის საშუალებით შემატყობინონ, როდის იქნება დანიშნული სამედიატრო სამართალი, რომ მეც შემეძლოს ორიოდე სიმართლე ვამხილო და საბუთები წარუდგინო. **მიხო.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მაისი

**პეტერბურგი.** მოქალაქე მინეევს, რომელმაც პოლიტეხნიკუმის ფანჯრიდან ყუმბარა გადააგდო, მიუსაჯეს 4 წლის კატორღა.

**ოდესსა.** ხერსონის გუბერნატორმა ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გლეხებს შორის მშვიდობიანობაა და აგრარული მოძრაობა არ არისო.

**ტვერი.** უმთავრეს ქუჩაზე შეიარაღებულმა ჯგუფმა მოჰკლა ბოქაული, ორი პოლიციელი და ერთი გარეშე. ერთი კაცი დაიჭირეს. სხვა ცნობით, ერთმა თავდამსხმელთაგანმა პოლიციელს თოფი ესროლა. ორი მათგანი დაიჭირეს. ერთი აღმოჩნდა უადგილო მუშა, მეორე წვრილი მოვაჭრე.

**ზლატოუსტი.** 22 მაისს ქალაქიდან 8 ვერსის მანძილზე დაეცნენ ფოსტას. მძიმედ დაიჭრა დარაჯი და ერთი გზად მიმავალი თათარი. ფოსტა ხელ-უხლებელია.

**კრემენჩუგი.** სოფ. ობოზნოვკაში გრაფინია კაპნისტის ტყე გაჩეხეს. დარაჯები დაიბარეს. მოთავენი დააპატიმრეს.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლონდონბერრომ საკითხი აღძრა ირლანდიაში კანონების არა ერთხელ დარღვევის შესახებ. მთავრობამ განმარტა, რომ მდგომარეობა ირლანდიაში ახლა გვარიანია. ზოგიერთ ოლქში მცხოვრებთ შორის მღელვარებაა. ირლანდიის მთავრობა მედგრად შეუდგება კანონების გატარებას. მას არა სურს მღელვარების მნიშვნელობა დაამციროს, მაგრამ არც სხვა ვინმემ უნდა გააზვიადოს საქმე.

**ტამბოვი.** კოზლოვის მაზრაში დასჭრეს ერთი დარაჯი. ორი კაცი დაიჭირეს.

**პეტერბურგი** ოცდამეთოთხმეტე ფოსტის განყოფილებაში სამი შეიარაღებული უცნობი შეიპარა. გაიტაცეს ათას მანეთზე მეტი. უფროსმა მოხელემ წინააღმდეგობის გაწევა განიზრახა, მაგრამ სასიკვდილოდ თასჭრეს.

**მინსკი.** დაბა სტოლიბცი სულ მთლად გადაიბუგა. გადარჩა მხოლოდ ორი განაპირა ეკლესია. დაიწვა 500 სახლი, სასამართლო, ფოსტა ტელეგრაფი. მდგომარეობა სავაგლახოა. მინსკიდან პური და სხვა სურსათი გამო გზავნეს.

**კამენეც-პოდოლსკი**, ოლგოპოლის მაზრაზი გასმარცვეს ბერმიდის მონასტერი. წაიღეს ფული და საეკლესიო ჭურჭელი. დარაჯი დაიჭრა.

**ვარშავა.** სოფ. ვოლაში შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა დარაჯს და ორს სალდათს. იმათ სროლა ასტეხეს და ერთი დასჭრეს.

**პიატიგორსკი.** თერგის ოლქის გენ.-გუბერნატორის დადგენილებით, დაბეჭდეს რუსეთის ბალნეოლოგიური საზოგადოების ბიბლიოთეკა და შეჩერებულ იქმნა თვით საზოგადოების მოქმედება.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ 9 ნოემბრიდან 15 მაისამდე შიდა რუსეთის 37 გუბერნიაში ობშჩინიდან გამოსვლა და სანადელო მიწის მიღება მოისურვა 33,727 კაცმა.

სამოსამართლო პალატამ ნევსკის ქარხნის მუშას კალაშნიკოვს მიუსაჯა ყუმბარების შენახვისათვის 8 წლის კატორღა. კალაშნიკოვის თქმით, კალიანი ყუმბარები, რომელიც იმის სახლში იპოვნეს, ეკუთნოდა იმის ამხანაგს, რომელიც უკვე ჩამოახრჩეს საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

**თეირანი.** სალარუდ-დოულეს წინააღმდეგ გაგზავნეს ასი სპარსელი კაზაკი, სამთო არტილერია, ქვეითი ჯარი და კავალერია. კირმანშაჰში აშკარა ომია გამართული ორ მეტოქე მუშთეიდის მომხრეთა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

**ტოკიო.** პროგრესიულ პარტიის დეპუტაციამ სთხოვა გარეშე საქმეთა მინისტრ გაიაშის აეხსნა, რა მიზეზია, რომ მთავრობა ჩინეთთან და შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროს შესაფერ სიმტკიცეს ვერ იჩენსო. ხალხს ჰგონია, მთავრობა უმოქმედობას იჩენს, ან ძალა არ შესწევსო. დეპუტაციის აზრით ჩინელები მანჯურიაში იაპონელების ინტერესებს აფერხებენ. საჭიროა აგრეთვე სან-ფრანცისკოში იაპონია ამერიკელების ურთიერთშორის მოწესრიგებაო.

**ბერლინი.** ციურიხის კანტონალური სამმართველოში დაპატიმრებულ რუსის განსათავისუფლებლად თავდასხმის შესახებ «ბერლინელ-ტაგებლატი» სწერს: რუსებმა რომ ჩაიდინეს, ამისთანა ჯერ არ გაგონილაო. რუსის რევოლიუციონერებს დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, თორემ ასეთის ქცევით საზღვარ-გარედ სახელს ძლიერ გაიტეხენ და მათ წინააღმდეგ მძულვარებას გამოიწვევენო.

**პარიჟი.** 23 მაისს ნაფიც მსაჯულთა სასასამართლოში დაიწყო გარჩევა შრომის ფედერაციის წევრების ბუსკეს და ლევის საქმისა. იმათ ჰბრალდებათ მკვლელობაზე წაქეზება. დაბარალებულია 60 მოწმე. მათ რიცხვში ჟორესი, მელიე, დომანდი, სამბა. საქმის გაჩხრეკის დროს წესიერების დასაცველად ზომებია მიღებული. ლევიმ თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, ბრალდება უკანონო და უსაფუძვლოაო. ბუსკემ განაცხადა, აკლებაზე არავინ არ წამიქეზებია, მხოლოდ ბრიანის მაგალითით ვხელმძღვანელობდი და საყოველთაო გაფიცვისთვის ხალხს ვიწვევდიო.

---

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

## მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა ლ. მტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—6)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

პიპინი კაკაბაძე. ამხანაგობა მსწრაფლ მქსოვ მანქანებისა „შინგერ“ წარმომადგენელი.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—16)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირებს გარდა.

**დ ა ლ ა თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. ბუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელეიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—79)

საგაბაშვილო-თხინვალის საავარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ

## იყიდება მიწები

25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები კიდევაც დაყოფილია ნ ჭრებად და ბეის შემოტანისათანავე ჩაბარდება მყიდველს თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—9)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძ.მეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—16) პატივ. **ო. კორონა.**

**ქართველ** ახალგაზრდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა, № 12. მიიღება მოლაპარაკება შუადღის წინ 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. (30—უ.—27)

## ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХ ВИНОГРАДАРЕЙ

„Дзмоба“ „ძმობა“

въ ТИФЛИСѢ

Головинскій проспектъ

№ 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი (100—63)